548-04-4-2-201901170957

N 04-4/548
17/01/2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

ბატონო მამუკა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის #537 დადგენილებით დამტკიცდა ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა. დოკუმენტში სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის მიზნით სახელმწიფო ვალდებულებები (ვალდებულება 14) გაიწერა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს უწყებათაშორისი კომისიის/საბჭოს შექმნა (იანვარი - მარტი 2019).

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 43–ე მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოში უსახლკარო პირთა უფლებების დაცვა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უსახლკარო პირებისთვის არსებული სოციალური პროგრამების მონიტორინგს, მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ზემოხსენებული უწყებათაშორისი კომისიის/საბჭოს შექმნა, რომელიც გაანალიზებს ქვეყანაში უსახლკარობის კუთხით არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებს, შეიმუშავებს საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმას და გამოვხატავ მზადყოფნას მის მუშაობაში ჩართულობაზე.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი